№ 70 22 თიბათვე, ქვირა 1866—1875 22 თიბათვე, ქვირა № 70

რედაქცია

მოღვინის (აბას-აბათის) მაედანზე, ულოლანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „*Дроэба*“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.

Ცალკე ნომერი—ერთი შაური.

დროება

ГАЗЕТА ОБЩЕСТВЕННАЯ, ЛИТЕРАТУРНАЯ И ПОЛИТИЧЕСКАЯ

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ., პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ ხტატიებსა.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

საქართველო

საზოგადო ჩივილი

დადგება თუ არა გაზაფხული, შეიქნება ჩვენში ყოველის მხრით ერთი ჩივილ-ტირილი, რომ გვალვა არისო, თუ ცოტა ხანს კიდევ გასტანა უწვიმობამ, შენი მტერი, მოსაველი ისე გაფუჭდება, რომ შიმშილობას თავიდამ ვერ ავიცდენთო.

ქახეთიდამ, ქართლიდამ, იმერეთიდამ-და სამეგრელოდამ ყველგან ერთნაირი ტირილი, ყველა მხრიდამ ერთი და იგივე უკმაყოფილებაა „ლაზარეზე“, რომელიც ასე ძუნწია წვიმის გამოგზავნაშიო.

მარტო ჩივილი და მწუხარება! მარტო ტირილი და უიმედობა!

ამდენი ხანი უბრალო ჭეშმარიტება ვერ გაგვიგია, რომ ამით საქმე ვერ გარიგდება. ვერ მიმხვდარვართ, რომ მაღლა ხელების აშვერით და ტირილითა არა გამოვა რა. არ ვიცით მშვენიერი ანდაზა, რომ ღმერთის იმედი გქონდეს, მაგრამ შენც გულზე ხელები არ დაიკრიბო და პირ-ღია არ იყოვო.

ბანა მარტო ჩვენ არ გვწყალობს „ლაზარე?“ ბანა მარტო ჩვენში არის ხოლმე გვალვა?

სხვაგანაც არის, ყველა სამხრეთ ქვეყნებშია; მაგრამ იქ გულ-ხელ-დაკრებილი კი არ შეჰყურებენ ზეცას და მარტო „ლაზარეს“ იმედი კი არა აქვთ. ხალხი მოძრაობს, ეძებს საშუალებას, რომ გვალვამ იმათ ნამუშევარს არა ავნოს რა, ცდილობს ბუნების ნაკლულევანება თვითონ შეავსოს, და მართლაც ეხედავთ, რომ მთელ გაზაფხულ და ზაფხულ სულაც რომ არ მოვიდეს იმ ქვეყნებში ერთი ნამი წვიმა, იმათ ნახნავ-ნათესს იმის ნახევარი ზიანიც არ მიეცემა, რამდენიც ჩვენ ერთი თვის უწვიმობით გვეძლევა ხოლმე.

ყველგან და ყოველთვის ორ საშუალებას ხმარობენ ამ შემთხვევაში, და, რასაკვირველია, ჩვენი დახსნაც, ჩვენი უნამყოფო ტირილ-ჩივილის მოსპობაც ამ ორ საშუალებას შეუძლიან:

. ერთი ის, რომ მდინარე წყლებიდამ სახნავ-სათეს ალაგებში არხების გაყვანაა საჭირო.

მეორეც ის, რომ სადაც ტყეა, უნდა დაიცვათ, უბრალოთ ჩეხას უნდა უფრთხილდეთ, და სადაც არ არის, უნდა გაშენდეს.

ორივე სახსარი ისეთები არიან, რომლის აღსრულება სრულებით ისე ძნელი და გასაჭირი არ არის, როგორც ერთი შეხედვით ეჩვენება კაცს.

წყლების ნაკლებობას, ღვთის ბაღლით, ჩვენ ვერ ვიტყვით: როგორც ქახეთში, ისე ქართლში და განსაკუთრებით იმერეთში და სამეგრელოში ძალიან ბევრი მდინარე წყლებია. უბედურება ესაა მხოლოთ, რომ ეს მდინარეები ისე არ არიან განაწილებული, რომ ყველა სახნავ-სათეს ადგილებს ჰყოფნიდეს. აქ მხოლოთ არხების გაყვანა გვიშველის.

რაც შეეხება ტყეს, რომელიც სინოტოს ინახავს, საქართველო არც ამას არის საზოგადოთ მოკლებული, თუმცა, რასაკვირველია, იმის მესამედი ტყეც აღარ არის ახლა ჩვენში, რაც ამ ასი წლის წინათ ყოფილა. მაგრამ რაც არის, იმასაც არ უფრთხილდებით; მის მაგიერად რომ ხელ-ახლად გავაშენოთ, სადაც წაეწვევით, ესჭრით და ამით მდინარეებს საკვებს ვართმევთ, ვაშრობთ.

ამდენი ხანი ჩვენს ხალხს გამოცდილებით უნდა დაენახა, რომ ამ შემთხვევაში, როგორც სხვა ბევრში, იმას სხვისი იმედი არ უნდა ჰქონდეს; თვითონ უნდა ზრუნავდეს ის თავის თავისთვის, თორემ სხვის იმედით დარჩენა არ გამოადგება...

შემდეგ ნომერში გაკვრით ვიტყვით ორიოდე სიტყვას იმაზე—თუ ამ შემთხვევაში, როგორ შეუძლია ხალხს თავის თავს უშველოს და ამ საზოგადო მავნებელის ბუნების მოელენიდამ განთავისუფლდეს.

ს. მესხი

დღიური

□ ბუშინასწინ, თიბათვის 20-ს როგორც ამბობენ, მცხეთის სტანციის სიახლოვეს რკინის გზა გაფუჭებულა, ნიაღვარს რელსები წაუღია და ამის გამო გუშინ მოძრაობა არ ყოფილა; ზოგნი ამბობენ, რომ გზა თფილისის სტანციიდამ სამს ვერსზე არი გაფუჭებულიო, ნიაღვარმა რელსები წაიღოო. ორი იქით-აქედამ მიძავალი ვაგონები უეცრად დატაკებიან ერთმანეთს; მაგრამ უბედურება არაფერი მოხდენილა; მხოლოთ რამდენიმე ვაგონები დამტვრეულა და ერთ რკინის გზაზე მოსამსახურეს სამი თითი გაუფუჭებია.

ჩვენის ჰაზრით, ურიგო არ იქნება, რომ ყოველ ამისთანა შემთხვევას ჩვენი რკინის გზის გამგეობა საქვეყნოთ გამოაცხადებდეს; განსაკუთრებით საჭიროა გამოცხადება იმ შემთხვევაში, როდესაც რომელისამე მიზეზის გამო, რკინის გზაზე მოძრაობა დროებით შეჩერებული იქნება.

□ ერთი სასარგებლო დაწესება დაფუძნდა ამ ერთი წლის წინათ ჩვენს ქალაქში: ჩვენ ვამბობთ „საბებიო ინსტიტუტზე და იმასთან გახსნილს სამშობიარო ღოსპიტალზე“. ინსტიტუტის მიზანი, როგორც „კავკაზის“ უკანასკნელს (70) ნომერშია დაბეჭდილი, ის არის, რომ აქაური ადგილობრივ ქალებს თეორიტიული და პრაქტიკული განათლება მისცეს ბებიობაში; და სამშობიაროო ღოსპიტალში კი ღარიბ ორსულ ქალებს დაეწვენენ, მოუელიან და საშუალებას მისცემენ, რომ მშობიაროობისაგან გაიხადონ.

ფელეტონი

იმერული ქუდი

იმერული ქუდი, რომელსაც ქართლელებმა მასხარობით „ფაფანაკი“ დაარქვეს, ძველის დროიდან, და არა უმიზეზოთ, არის მოგონილი და ხმარებაში შამოტანილი.

ზოგნი მოგვითხრობენ, რომ ამ ქუდის ხმარება მოიგონა აბაშიძემ, როდესაც იმერეთში მეფობდაო დროებითად.

თუ იყო აბაშიძე ოდესმე რევენტად მცირე-წლოვანი მეძკვიდრისა—არა მგონია, რომ იმას შესძლებოდა ხალხში ისეთი ცვლილება მოეხდინა და თუ ძალ-დატანებით შემოიღო, მაშინ ბოლო არ გაჰყვებოდა. ჩვენ გამოცდილებით ვიცით, რომ ძალ-დატანებულ საქმეს დიდი დღე არ აქვს, და ისტორიაც იმას მოგვითხრობს, რომ არას ქვეყანაში ძალათ შეტანილ საქმეს ფეხი არ მოუმაგრებია. მაშასადამე უნდა დავრწმუნდეთ, რომ აბაშიძეს არ შამოუტანია იმერული ქუდი ხმარებაში.

ზოგნი ამბობენ, რომ იმერული ქუდი არის სახსოვრათ ადამის ტანთსაცმელისო, ლელსის ფურცელს მოასწავებსო; ადამმა როდესაც შესცოდა ღმერთს და იგრძნო თავის შიშველეულება, როგორც სიშიშველე დაიფარა ლელვის ფოთლებით, აგრეთვე ქუდათაც იგივე იხმარაო.

ზოგნი კიდევ ამბობენ, რომ როდესაც რომაელები ჰფლობდენ მთელ უწყებულ ქვეყანას, მაშინ ჰქონდათ თავზე მსგავსი ქუდი თუჯისაო, რომელიც ფარავდა თავს ომში ხრმლისაგანო.

ყველა ამაებს არა აქვს ადგილი და საფუძველი: იმერული ქუდი არის შემოღებული იმერეთში სამი მიზეზით; ეს სამი უმთავრესი მიზეზნი არიან შემდეგნი:

პირველი მიზეზი არის ადგილის მდებიაობა. იმერეთი იყო დიდი ტყიანი ადგილი, სადაც იმერელი იფარავდა თავს თავის მძვინვარე მტრის მეზობლებისაგან. ყოველ ნაბიჯზე თითქმის ტყეში უნდა გამძვრალ-გამომძვრალიყო. რა ქუდი შერჩებოდა თავზე, თუ არ ამ ნაირი? იმერლისათვის რომ ქართული ბოხოხი დაგეხურა, ილლიაში თუ ამოიდებდა და ატარებდა, თორემ თავზე არ დაუმაგრდებოდა იმ საშინელ უდაბურ ტყეში!

მეორე მიზეზი. საჭიროების დროს იმერელი მოიძრობდა თავზე ქუდს, დაავლებდა ბიწაზე ქვას ხელსა და ასეთ შურდულს ესვრიდა მსწრაფლად მტერს, რომ ისარიც ველარ ავნებდა იმაზე მეტს, თავში თუ მოხვდებოდა მეტადრე.

მესამე მიზეზიც ის არის, რომ საზოგადოთ იმერლებს მშვენიერი დახუჭუჭუბული თმა აქვსთ, და გიგიენიური მხრით სრულიად აკმაყოფილებს იმერელს.

იმას მიუგნია პრაქტიკულათ, რომ თმას ახდენს ტყავის ქუდი: ნახე აფხაზი ფაფახი ქუდისაგან და ყიზილბაში თავის დიდი ბოხოხისაგან თუ უმეტესი ნაწილი ქაჩალი და მელოტი არ იყოს, მაშინ როდესაც იმერელ კაცს მშვენიერათ აქვს თმა შენახული, თავის ქუდის წყალობით.

ძვირად ნახავ იმერელ კაცს, რომელსაც ისევ თავისი ძველებური ქუდი ჰხურავს, რომ თავის ტკივილს უჩივოდეს და ბევრი, ვისაც თავის ტკივილი ჩვევია—„შაკიკი“ და მიუგნია და იმერული ქუდი დაუხურავს, სრულიად განთავისუფლებულა ამ სენისაგან.

ამას თვით მედიცინაც ამტკიცებს; უპირველესი აქიმობა ევროპიელი აქიმებისა არის ეს, რომ „თავი გრილად ჰქონდეს და ფეხები თფილათო“. უფალი რანჩევსკი ამბობს თავის ლექციაში, რომელიც წაკითხულ იყო თფილისში, იმერელ ქუდზე და დიდ მნიშვნელობას აძლევს გიგიენურს.

მეცნიერები ამბობენ, რომ თავის კანიდან ორთქლი ამოდისო, და ქუდი რომ გაჩერებს, შეაგუბებს ორთქლს, გახურდება კანი ულპება ძირი, თმას ცვივა და ხდებაო.

ევროპიელებს მიუგნიათ და შლიაპებს სასულეს ატანებენ, რომ ქუდმა ორთქლი არ შეაჩეროს, არ დაბუგდეს.

მისი მავნებლობა გაუგიათ, და ჩვენ რამოდენიმე საუკუნის წინეთ ჩვენი მამა-პაპებისაგან ძიგნებულ ჭეშმარიტებას ეკარგავთ, რაო და, თფილისელმა კინტომ არ დაეგვინოსო და არ გვიკიელოსო! მე გარწმუნებთ, რომ თფილისელმა კინტომაც იმოდენათ შაიგნო ეხლა, რომ მანამდულათ არ უკვირს ეს ქუდი. და იმერეთში ვინლა დასცინებს, რომ ერთი ერთმანერთის წაბზედურობით სულ სხვა და სხვა ქუდი ხურაეთ, ათს-კაცში უსათუოთ შეიდს სხვა და სხვა ქვეყნის ქუდებიანს ნახავთ!...

მართალია, პირველსა და მეორე მიზეზს ადგილი აღარ აქვს დღეს: აღარც ტყე არის ისეთი, ჩვენდა საუბედუროთ, და არც შურდულია საჭირო, მაგრამ მესამე მიზეზი კი ასეთი არის, რომ იმისი უყურადღებოდ დატოვება დიდათ მავნებელი და სამწუხაროა.

სხვიტორელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლონ. პირ-და-პირ ბებიაობის შესახებ საგნებს გარდა, ამ ინსტიტუტის მოწაფე ქალებს ასწავლიან აგრეთვე ენერიული ავათმყოფის წამლობასა და ყვავილის აცრას.

ჩვენში, სადაც კაცების-აკუშერების მოწვევა ასე ერცხვინებათ ქალებს, ამ ინსტიტუტისა და ლონშპიტლის გახსნას, უეჭველია, დიდი მნიშვნელობა ექნება, თუ ხელრიანათ წაიყვანეს.

□ ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲓᲐᲛ გვატყობინებენ, რომ ჯერ-ჯერობით იქ ძალიან კარგი ამინდები არისო და კარგი მოსავლის იმედი აქვთო. ᲥᲘᲖᲘᲧᲘᲓᲐᲛᲐᲪ მოსავლის თაობაზე სანუგეშო ამბები მოდის, მხოლოთ ისევ ქურდობის გახშირებას უჩივიან.

□ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲡᲢᲐᲜᲪᲘᲐ აცხადებს, რომ რადგანაც ხშირად სტანციამ არ იცის ადრესი იმ პირებისა, რომელთაც დეპეშები მოსდის და ბევრი დეპეშა ადრესისა მებრალერ მიღწეულა, ამის გამო ესთხოვთ დეპეშების გამგზავნ და მიმღებ პირებს, რომ გარკვეული ადრესები დასწეროონ დეპეშაზე და თავიანთი ადრესებიც ჩასწეროონ იმ საადრესო წიგნში, რომელიც ყოველ ტელეგრაფის სტანციაში არისო.

□ ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲕᲘᲢᲧᲔᲗ, რომ მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში რჩეულლოვის რომანი „ᲗᲐᲛᲐᲠ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ“ იბეჭდება, რომელიც, როგორც გვახსოვს, „ᲪᲘᲡᲙᲠᲘᲡ“ 1862 წლის ნომრებრში იყო დაბეჭდილი. ეს რომანი უცხო რამ არის, მაგრამ შიგ რ მდენიმე ანახრონიზმია და გამომცემლები რომ გაასწორებდნენ და ისე გამოსცემდნენ, სწორეთ ძალიან კარგი იქნება.

□ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ „ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘᲡ“ გამომცემელნი სთხოვენ იმ პირთა, რომელთაც ამ ორი წლის წინათ ეს წიგნები ჰქონდათ ჩვენს ქალაქებში და უეზდებში გაგზავნილი გასასყიდლად, გაყიდული ეგზემპლიარების ფული გამოგზავნონ, რადგან მეორე წიგნის გამოცემას ემზადებიან.

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ᲖᲔᲛᲝ-ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲓᲒᲐᲜ, 17 თებერვალს

რასაკვირველია, შეტყობილი გექნებათ, რომ ქართლსა და იმერეთში საშინელი გვალვა არის, ისეთი რომ ამბობენ, თუ ერთ კვირას კიდევ გასწია, სწორეთ შიმშილობა ჩამოვარდებაო; ამის გამო ძალიან შეწუხებულნი არიან ყველანი და ყოველი ღონის-ძიებით სცდილობენ, რომ წვიმა გამოითხოვონ.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენში ბევრი რამ სხვა და სხვა ჩვეულება არის, რომლითაც სასოებენ გვალვის მოსპობას და ახლა სულ ამის ფიქრში არიან. ერთი ამ ჩვეულებათაგანი ეს არის ეხლა შესრულეს ერთს ზემო-ქართლის სოფელში. მართალია, ზოგი ამისი წამკითხველი იტყვის: ეს რა საამბობიაო, დიდი ხანია ეს ამბავი გაგვიგონია და გვიწერია წიგნებშიო; მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რასაც ადამიანი თავის თვალითა ნახავს და თვითონ დაუკვირდება, უფრო უკეთ გაიგებს, ვიდრე სხვისგან ნაამბობს.

ᲓᲦᲔᲡ მითხრეს ზოგიერთმა აქაურებმა და შემომჩივლეს, რომ ამ მარტს აქეთ ნამი არ გადმოვარდნილაო და ლამის გადიწვა აქაურობაო; ამ მიზეზით ჩვენ ეხლახანს სალმთო გადავიხადეთო, მაგრამ მაინც, ჩვენდა საუბედუროთ, წვიმა არ გაგვიჩნდაო. ᲐᲮᲚᲐ, რა რომ საქმე მეტათ გაჭირდა, აქაურმა ქალებმა მოიყარეს თავი და აგერ დიდებაზე დაიარებიანო, ᲚᲐᲖᲐᲠᲔ დააქეთო.

შევიტყე ეს ამბავი თუ არა, იმავ წამს გავექანე იმ ქალებისაკენ, რომ თვალით დამენახა და ბეჯითად შემეტყო იმათი მოქმედება. ᲕᲜᲐᲮᲔ, რომ უმეტესი ნაწილი იმათგანი ჩემი ნაცნობები იყვნენ, ესთხოვე მაჩვენეთ-მეთქი, რა არის ეს დიდებაზე სიარული.

შეგროვდებიან თურმე რამოდენიმე ქალი, უმეტესათ ხნიერი ქალები, ფეხ-შიშველანი, უთუოთ ორშაბათ დღეს. ᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲕᲔᲜ ერთს მოხუცებულს, ღვთისნიერს და მისცემენ ხელში ტალახით გაკეთებულს რაღაც ადამიანის მსგავსებას, რომელიც წარმოადგენს წმ. ᲚᲐᲖᲐᲠᲔᲡ. ᲘᲛ დედაკაცს, რომელსაც უჭირავს ხელში ყავარზედ ტილოთი გადაფარებული ᲚᲐᲖᲐᲠᲔ, ᲚᲐᲖᲐᲠᲔᲡ დედას ეძახიან. ᲯᲔᲠ მიელენ რომელსამე საყდართან, მუხლმოდრეკით თაყვანსა სცემენ და შეევედრებიან წვიმა მოგვიელინეო; წაღმა მიბრუნდებიან და შემდეგ მთელს სოფელში ისე შემოიელიან, რომ ყოველს სახლის კარს მიადგებიან. ᲐᲥᲪ დაიჩოქებენ და გალობას დაიწყებენ „ᲛᲖᲔᲨᲘᲜᲐᲡ“ ხმაზედ „ᲕᲐᲠᲓ-ᲛᲐᲜᲐᲜᲐᲡ“ (ᲚᲐᲖᲐᲠᲔᲡ) ლექსს. პირველი მთქმელი ᲚᲐᲖᲐᲠᲔᲡ დედა არის და სხვანი ბანს აძლევენ.

ᲐᲛ დროს სახლის პატრონი წყალს გადაასხამს ᲚᲐᲖᲐᲠᲔᲡ და მერე ქალებსაც.

ᲚᲐᲖᲐᲠᲔᲡ პირის ასახდელს ზოგი ფულს მისცემს, ზოგი კვერცხებს.

ᲠᲝᲪᲐ მთელს სოფელს მოიელიან, წყლის პირას მიელენ, გუთანს მოსძებნიან, შეებმიან ულელ-ულელ, როგორც ხარები გენახოთ, და გაათრევ-გამოათრევენ წყალში, ერთი ერთმანეთს დასწუწვენ და ისე გამოვლენ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲚᲐᲖᲐᲠᲔᲡ დედა ᲚᲐᲖᲐᲠᲔᲡ წყალში გადააგდებს და ევედრებას დაიწყებს: ᲚᲐᲖᲐᲠᲔ, გეიშუამდგომლე ᲦᲛᲔᲠᲗᲗᲐᲜ, რადგან ისეთი ძლიერი იყავი, რომ გვალვის დროს წვიმას რომ მოსთხოვდი, ყოველთვის გზავნიდა ᲦᲛᲔᲠᲗᲘ, ეხლაც ევედრე, ისე დაალბოს დედა-მიწაო, როგორც შენ დალბები მაგ წყალშიო.

მერე ამოარჩევენ მინდორში კარგ მწვანე ადგილს და იქ ფსონს გამართვენ ნაშოვნის ფულით; კვერცხებს გაჭყიდიან, ფულათ აქცევენ, ზოგს ფსონში მოიხმარებენ და ზოგს შესაწირავათ გაგზავნიან, ან თვითონ მიიტანენ უმთავრესს ეკკლესიაში, სადაც მღვდელს პარაკლისს ახდევინებენ. ᲤᲡᲝᲜᲨᲘ ერთიერთმანეთს დალოცვენ: ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ გვისმინოს ევედრება ჩვენიო და მანამ სახლში ავიდოდეთო, კარგი წვიმა მოგვიელინოსო. მერე წავლენ თავ-თავისს სახლში.

ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ მიეედი და უთხარი, თქვენთან მეც ვიელი მეთქი, ჯერ ნებას არ მაძლევდნენ, რადგან ფეხსაცმელი მეცვა; თუ გაიხდი და ისე იელი, კარგიო, თუ არა და ჩვენთანკი ნუ იელი და ნურც ბანს მოგვცემო, თორემ არ გაიგონებს ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ჩვენს ევედრებასაო. ᲗᲣ გინდა, შორი-ახლო იარე და ი'ე გვიყურეო.

ᲐᲥᲔᲓᲐᲛ დაინახავთ, თუ რანაირათ არის აქამდისინ ჩანერგული იმათ გულში ეგ უწინდელი ჩვეულება და წესი. ᲫᲕᲘᲠᲐᲗ ნახავთ ისეთს იმათგანს, რომ ამაში იჭვნეულებდეს.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ამ ნაირი ჩვეულებაა კიდევ ჩვენში, და ვერასფრით ვერ დააჯერებთ, რომ ამათება იყოს აქა. ᲑᲣᲚᲘᲗᲐᲪ რომ გინდოდეთ ამაზედ ამათთან ლაპარაკი და ახსნა, თუ რაოდენათ არიან შემცდარნი, ბაასი არ შეგიძლიანთ, მაშინვე იტყვიან: ამას ჩვენი არა ᲘᲬᲐᲛᲡᲘᲐᲝ და რა უნდა დაეჯერებოდესო!

მოდით და თქვენ აუხსენით ახლა, რომ წვიმასა, თოვლსა, სეტყვასა და სხვა ჰაერის მოვლინებას თავისი, ბუნებისაგან დაწესებული, უცვალებელი კანონები აქვს, რომელთაც ვერა სიმღერა და გალობა, ან ვერა სიარული და ტალახის ᲚᲐᲖᲐᲠᲔ ვერ შეარყევს!..

ᲛᲚ. ᲑᲐᲥᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

✱ ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡᲘ ᲡᲘᲜᲝᲓᲘᲡ განკარგულება გამოვიდა, რომ პეტერბურღისა და მოსკოვის ყველა ეკკლესიებთან სამრევლო შკოლები გაიხსნასო. ᲓᲦᲔᲛᲓᲘᲪ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ მღვდლებს შეეძლოთ გაეხსნათ შკოლები; მაგრამ ვალდებულნი არ იყვნენ; დღეს კი ყველა ვალდებულია.

✱ ᲔᲠᲗᲘ ისეთი სტამბა იმართება ახლა პეტერბურღში, რომელიც თვითონ მოხელე ასოს-ამწყობლების საკუთრება იქნება. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ მუშა შეკრებილა, მოულაპარაკნიათ, რომ მის მაგივრად, რომ ჩვენი შრომით სხვები მდიდრდებიან, ის არ გვირჩევნია, თვითონვე გავმართოთ სტამბა და რაც მოგება იქნება, თანასწორათ გავიყოთო, გამოუღიათ მართლა ფულები და ცალკე სტამბის გამართვას აპირებენ.

✱ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲗᲐᲜ არის ცალკე კომიტეტი, რომლისაც რამდენსამე წევრს სასოფლო შკოლებისათვის სახელმძღვანელოების შედგენა განუზრახავთ. ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, რომ ყველა რუსეთის სახალხო შკოლები ვალდებული იქნებიან, რომ უთუოთ ამ წიგნებით იხელძღვანელონო.

✱ „ᲛᲗᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲔᲨᲘ“ შემდეგი განკარგულებაა გამოცხადებული: „ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ რა უმაღლესი მთავრობა მხედველობაში იმ გაჭირებულ მდგომარეობას, რომელშიც ჩავარდნენ ცეცხლის გამო ქალაქის მარშანსკის მცხოვრებელნი, ნებას აძლევს უმაღლესად დამტკიცებულ ქველ-მოქმედ საზოგადოებებს, რომ მთელის რუსეთში ხელის-მოწერა გამართონ და იმათვის ფულები მოაგროვონ“.

✱ ᲝᲓᲔᲡᲐᲨᲘ მცხოვრებელ ხელოსნებს განსაკუთრებული კლუბის გამართვა განუზრახავთ; წესდება შეუდგენიათ, რომელიც მთავრობათან არის დასამტკიცებელად წარდგენილი.

ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. სხვა და სხვა პარლამენტალურ პარტიებს შუა გაცხარებული მოძრაობაა ამჟამად პარიჟში. ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, გერცოგი ბროჰლი ცდილობსო, რომ რაც შეიძლება მომეტებულს წევრებს მოუყაროს თავი და ამ გვარად მარჯვენა მხარე (კონსერვატორული) გააძლიეროსო. მეორეს მხრით იწერებიან, რომ ᲑᲐᲛᲑᲔᲢᲢᲐ და ᲤᲘᲔᲠᲘ ერთად, მეგობრულად მოქმედებენო და მომავალ ამორჩევებისათვის განზრახვა აქვთო, რომ თანხმობით იმოქმედებენ და ეცდებიანო, რომ ახალს ნაციონალურს კრებაში და სენატში რაც შეიძლება მომეტებული პირები ამოარჩიონ რესპუბლიკის მომხრეებთაგანიო.

ᲐᲛᲐᲡ გარდა რესპუბლიკური პარტია ამ ჟამად ყველაზე უფრო იმას ცდილობს, რომ ნაციონალურმა კრებამ საჩქაროთ დაითხოვოს თავის თავი სამუდამოდ, და ამის გამო იმის განსახილველად ცოტა საქმეები დანიშნონ.

ᲔᲡ�პᲐᲜᲘᲐ. ᲔᲠᲗᲡ გერმანიელ გაზეთში ᲓᲝᲜ-ᲐᲚᲤᲝᲜᲡᲘᲡ მდგომარეობაზე სანუგეშო ამბებს არ იწერებიან. კორრესპონდენტი ამბობს, დიდი ხანია ლაპარაკობენ აქ ჩუმ-ჩუმათ, რომ ვითომც ᲓᲝᲜ-ᲐᲚᲤᲝᲜᲡᲡ განზრახვა აქვს ᲔᲡ�პᲐᲜᲘᲘᲡ ტახტიდამ გადადგესო. ᲘᲡᲔ საძაგლათ მიდის საზოგადოთ ᲔᲡ�პᲐᲜᲘᲐᲨᲘ საქმეები, რომ ᲓᲝᲜ-ᲐᲚᲤᲝᲜᲡᲘ გრძნობსო, რომ იმას ყველა აღშფოთებისა და დახლართული საქმეების თავის მოელა არ შეუძლიაო და ამიტომაც შეიძლება ეს ფიქრი მართლა მოუვიდაო.

ᲐᲮᲐᲡ წინათ ᲓᲝᲜ-ᲐᲚᲤᲝᲜᲡᲘᲡ მოსაკლავად, როგორც იწერებოდნენ, შეთქმულობა ჰქონდათ რამდენსამე კაცს, რომელთ რიცხვში რამდენიმე ღენერალი ერია. შეთქმულობის მოთაეენი რესპუბლიკელები ყოფილან, რომელთაც ᲓᲝᲜ-ᲐᲚᲤᲝᲜᲡᲘᲡ მოკელის შემდეგ განზრახვა ჰქონიათ, რომ ᲔᲡ�პᲐᲜᲘᲐᲨᲘ რესპუბლიკური ფორმა მმართებლობისა დაედგენათ. მაგრამ მადროდის პოლიციამ შეუ-

ტყო. იმათ ეს განზრახვა, მოთავეები დაატუსაღეს და დასაჯეს.

აი, ახლაც დონ-ალფონსი ტოლედოში სულ იმის გამო წასულაო, როგორც ამბობენ, რომ მადრიდში ცხოვრება ეშინიანო.

ამერიკის რესპუბლიკა. ძალიან ცუდ მოსაგალს ამბობენ წელს ამერიკაში. ქველავ რაც ევროპაში სიმინდი სჭირდებოდათ, და ხანდისხან პურიც. ამერიკიდამ მოჰქონდათ; მაგრამ წელს კი ისეთი ცუდი მოსავლის პირიაო, იწერებიან, რომ არა თუ ევროპაში გასასყიდათ, თავიანთისაც ძლივს ამყოფი დარჩებაო.

საბერძნეთი. ახლანდელს საბერძნეთის მმართებლობას დიდ სისუფტესა და უთავ-ბოლობას აბრალებენ. ხალხში დიდი აღშფოთებაა თურმე, ყველა საზოგადო საქმეებში უწესობა და საზოგადოებას იმედი არა აქვს, რომ დღეს-ხვალ რამ არეულობა არ მოხდეს რამდენსამე ალაგასაო.

ქრონიკა

17

ქართველები და სკითები ანუ ხაზარები და მათი ერთობრივი მოქმედება; პერსიდა და ქართველების სკვითებისაგან განთავისუფლება.

—

მშვენიერი აჰყვავებული მდგომარეობა ჰქონდა საქართველოს: იმისი ვაჭრობა, მეურნეობა და ყოფა-ცხოვრება აჰყვავებული იყო ფინიკიელებისა და ბერძნებისა შორის ვაჭრობით; ჰქონდა პოლიტიკური თავისუფლება და სამოქალაქო ცხოვრება; მაგრამ 636 წელს ეს ყველაფერი უეცრად მოიშალა. ამის მიზეზნი შეიქმნენ სკვითები ანუ ხაზარები, როგორც „ქართლის ცხოვრება“ იმათ უწოდებს.

ეს ხალხი სცხოვრებდა ახლანდელი ჩერქეზეთისა და დონისტნის სამხრეთ მხარეს მეზობლად. 636 წელს ისინი ისრე გაძლიერდნენ, რომ დაუწყეს საქართველოს რბევა აღმოსავლეთის მხრიდგან. ისინი დიდის ძალით გამოვიდნენ დარუბანდის კარებში, კასპიის ზღვის პირას და შემოესივნენ საქართველოს. იმათ დიდი ვნება მისცეს ჯერ ნუხისა და ზაქათალის მაზრის მცხოვრებლებს, გადაასახლეს აქედგან მრავალი ქართველები თავიანთ ქვეყანაში—ხაზარეთში, მერმე დაუწყეს რბევა მთელ საქართველოს. თავისუფლების მოყვარე ქართველმა ხალხმა ეს არ მოითმინა, დაუძახეს ყველა მამასახლისებს ჯარში, გავიდა დიდძალი ლაშქარი და თავის რიგზე ესენი დაეცნენ ხაზარეთის ქვეყანას, აიკლეს, ამოსწყვიტეს იმათი ლაშქრები, იშოვეს დიდი დაფლა, ააშენეს იმათ საზღვარზე ყარაულად ერთი დიდი ციხე, შეაყენეს შიგ მცველები და დაბრუნდნენ საქართველოში. აი ასრეთნი ამაყნი იყვნენ უწინდებული ქართველები.

მაგრამ მათდა საუბედუროდ ხაზარები უფრო გაძლიერდნენ, შეჰყარეს უფრო უდიდესი სამხედრო ძალა და კვლავ ვამოიღლაშქრეს საქართველოზე. იმათ ახლა ისწავლეს დარიალის გზაცა. იაინი შემოვიდნენ დარუბანდისა და დარიალის ყარებში და ერთბაშათ დაიპყრეს ამერი და იმერი. მერმე იმათ და ქართველებმა შეჰკრეს პირობა და ერთობრივ დაიწყეს მთელს აზიაში თავისი სამხედრო მოქმედება. ამას ამტკიცებს ეზეკიელი. აი როგორ ამბობს ეს წინასწარმეტყველი მე-38 თავში: „ძეო კაცისაო, ეუბნება ღმერთი ეზეკიელსა, აღიღე პირი შენი ზოგსა ზედა და ქვეყანასა ზედა მაგოგთასა, რომელიც მთავრობს როსსა, მოსოხსა და თობელსა ზედა და იწინასწარმეტყველე მას ზედა და უთხარ მას: აჰა მე შენზედა ზოგ, რომელიც ხარ მთავარი როსსზე, მოსოხზე და თობელზე, გარემოგაქცია შენ და მივცე აღვირი ღაწვთა შენთა, და შეკრიბო შენ და ყოველი ლაშქარი შენი და ცხენნი და ცხენოსანნი, შემოსილნი საჭურველითა და ყოველნი მთავარნი შენნი მრავალად შეკრებილნი შვილებითა და ჩაფხუტებითა: ზომერ და ყოველი ლაშქარი მისი, სახლი თარგამოსისა ჩრდილოეთიდგან ყოველისა თავისა სამხედრო ძალითა; და მოხვიდე ადგილით შენით დასასრულისაგან ჩრდილოისა შენდა და ნათესავნი მრავალნი შენთანა, ალმავალნი ცხენთა ყოველნი, შესაკრებელნი დიდი და ძალი მრავალი“. (იხ. მუხ. 2, 3, 4 და მე 15). ამასვე ლაპარაკობს იგივე წინასწარმეტყველი მე-39 თავში. მაშასადამე ქართველების სკვითებთან ერთად აზიაში მოქმედებას ეჭვი არა აქვს.

ამოწერილი წინასწარმეტყველის სიტყვები ნამდვილად ამტკიცებენ, რომ ქართველები, ესე იგი თარგამოსიანები, რომლის თემებსაც ის უწოდებს თობელს, მოსოხს, სკვითების მოთავობით მოქმედებენ აზიაში. მართლაც ძველი სოფლიო ისტორიის თქმულებითაც ეს სკვითები 28 წლის განმავლობაში ჰფლობდნენ მიდიასა, სპარსეთსა და მძვინვარებდნენ მთელს აზიაში. იმათი მომეტებული ნაწილი იდგა საქართველოში და იმათი სამხედრო მიჯრები აქედგან გადიოდნენ საომრად. საქართველო შეადგენდა იმათ ჯარების ბუდეს. ამათ ჯარებმა და ქართველებმა მთელს აზიის ხალხების ცხოვრებას ბღღვერი აადინეს. ისეთი სახლი არ მოიპოვებოდა მიდიაში, რომ ამათი სალდათები არა მდგარიყო. ეზეკიელი ლაპარაკობს, რომ ისინი შედიოდნენ მშვიდობიანად მცხოვრებ ხალხებში და გამოჰქონდათ ვერცხლი, ოქრო და სხვა ჭურჭელი. ამისა გამო მიდიის ხალხი და მეფე ციაქარი ძლიერ შეწუხდნენ, და განიზრახეს განთავისუფლება. როგორც ამბობს ღეროდოტი, შემდეგ მიდიის მეფემ შეადგინა შეთქმულობა, ერთს უქმე დღეს გაუკეთა დიდი წვეულება სკვითების მხედართმთავრებს, დალეკინა დათრობამდე ღვინო და როცა ისინი დაითვრენენ, მაშინ გამოსჭრა ყველას ყელები; აგრეთვე მოიქცნენ მიდიის მცხოვრებლებიცა. სახლის-პატრონებმაც თავისი მდგმური სალდათები დაათვრეს, დახოცეს და განთავისუფლდნენ იმათ მონებისაგან, და რომელნიც ცოცხალნი დარჩნენ, ისინი კიდე განიბნიენენ.

ეს ისტორიული ფაქტი, მე-V საუკუნეში ქრის. წინ შემოწმებულია ღეროდოტისაგანაც; მაგრამ საქმე იმაშია, რომ ციაქსარმა დახოცა ქართველები. ეს მტკიცდება იმ მოსაზრებით, რომ ღვინის მოსავლით და სმით არის შესანიშნავი უფრო საქართველო და მისი ერი; რომ სკვითეთში, რადგანაც ღვინის მოყვანა ახლაც ძნელია, არამც თუ მაშინ ყოფილიყოს იმის მოყვანის ჩვეულება და სკვითების მთვრალობა, ამისათვის მე ვამტკიცებ, რომ ეს თვისება უფრო ქართველ ხალხს ეკუთვნის; რომ მიდიელებმა ამ ღალატობით სისხლის ღვრის შემდეგ მაშინვე საქართველოს დაპყრობა მოინდომეს მისთვის რომ, სამაგიეროს გადახდა ჰაურდათ; მაგრამ ვერ აღასრულეს თავისი წადილი. ეს ჩვენი ჰაზრი მით უმეტეს უფრო მართალია, რომ ქართველები და სკვითები აზიაში ერთად მოქმედებდნენ. მიდიელებმა ამ დროს საქართველო ვერ დაიპყრეს ამისათვის, რომ ამ დროს ვინმე დიდებული სპარსელი კაცი, ვეჭობ ქართველებში შეზდილი, ოთხი ათასის კაცით, როგორც სწერს დიოდორ სიცილიელი, მოვიდა საქართველოში, რადგან იმას თავი ი დაი ჰყვანდა მითხოვილი (იხ. თეიმურაზის ისტორია, გვერ. მე-100 და 101) იქაურს ძლიერს მამასახლისთან და დაიჭირა ქართველების მხარე. ამ კაცს ერქო პერსიდა. ის იყო ძლიერი კაცი. ამან თურმე გაამხნევა ქართველები და ურჩია, რომ არ დაჰმორჩილებოდნენ მიდიელებს. იმათ გაიგონეს იმისი კეთილი რჩევა, დააყენეს საქართველოს ჯარების სპასპეტად, რადგან მცხეთის მამასახლისი ვეჭობ, მოკლული იყო მიდიაში იმ დროს, როცა სკვითები დახოცა ციაკსარმა და გაუმკლავდნენ მიდიელებს. თუ ეს ასეარ ყოფილიყოს, მცხეთის მამასახლისი ჩვეულების წინააღმდეგ სპასპეტობას ამ კაცს არ მისცემდა. მიდიელები ამ ბრძოლაში დამარცხდნენ და ქართველები განთავისუფლდნენ—როგორც ამათგან, აგრეთვე სკვითებისაგანაც.

ვეჭობ, რომ ეს პერსიდა ამის შემდეგ გახდა მცხეთის მამასახლისად და ამის ჩამამავალი იყო თეით მეფე ფარნაოზიცა. ეს მოჰხდა 608 წელს ქრის. დაბად. წინ.

ინგილო ჯანაშვილი

საგაასო

უ. ს. ცქიტიშვილს

—

მართალია, არა ღირს თქვენს პასუხს კაცმა ხმა გასცეს, მაგრამ თქვენც რომ დაგარწმუნოთ თქვენს შეცდომილებაში, თუ თქვენმა ვინებამ აიტანა ეს, და ისინიც, რომელთაც არ შეუძლიათ თქვენი პასუხის გარჩევა, ეიტყვი ორიოდე სიტყვას, და რომ ყველამ ცხადათ დაინახოს თქვენი სუფტი მსჯელობა, ... სიტყვებსაც მოვიყვანენ, ... თვის გამჭრიახე ფიქრისა და უძილობისა გამოაცხვეთ, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვები ჩემ ნათქვამ სიტყვებზე. მე ვამბობ: „თუმცა ეკონომიური ნაწილის გამგეობა სასწავლებლის ზედამხედველის მოვალეობა არის, § 51 სასწავლებლის წესდების ძალით, მაგრამ რადგან ეს სასწავლებელი მრავალ მაგირდებიანი არის ზედამხედველმა ითხოვა, რომ ეკონომი დაენიშნათ და სასწავლებლის სამმართველომ კიდევაც დაუნიშნა და სხვ.“ თქვენ ამაზე, უ. ცქიტიშვილო, აი რას ამბობთ:

„ამ სიტყვებით უ. X. დიდ შეურაცხებას აძლევს იმ ყრილობის თავსმჯდომარეს: როგორი თავსმჯდომარეა ის კაცი, რომელსაც სასწავლებლის წესდების § 51 მეტი არცერთი დასკვნა არ ცოდნია უწმინდესის სინოდისა და ან როგორი სასწავლებლის წევრია ის, რომელსაც არცერთი დასკვნა უწმინდესი სინოდისა არ წაუკითხავს, სადაც ცხადი განმარტება არის სასწავლებლის წესების ყველა §§-სა და მაშასადამე §-საც და რომლებშიაც ცხადად ურჩევს უწმინდესი სინოდი ამისთანა მრავალ მაგირდებიან სასწავლებლის სამმართველოს ეკონომის გამორჩევას? იმას არ სცოდნია იმ ნაჩვენები § 51 მეტი არცერთი დასკვნა უწმინდესი სინოდისა და ან უწმინდესი სინოდის დასკვნები, სასწავლებლის ეკონომის აღმორჩევისა და სხვა საგნების შესახებ, იმას სამღვდელოების წინაშე დაუფარავს.“

მიაქციეთ ყურადღება, მკითხველო, ამ სიტყვებს: ყრილობის თავმჯდომარე ამბობს, რადგან ეს სასწავლებელი მრავალ მაგირდებიანი არის, სასწავლებლის ზედამხედველს თანახმად მისი თხოვნისა, ეკონომი დაენიშნა. უ. ცქიტიშვილი ამბობს: როგორ ვერ მიხვდა თავსმჯდომარე ამას, რომ უწმინდესი სინოდი ამისთანა მრავალ მაგირდებიან სასწავლებელს ეკონომის არჩევას ურჩევსო.

ჰგავს ცქიტიშვილს შეშინებია ეკონომობისაგან არ დამითხოვონო და ჰგონებია, თუ თავსმჯდომარე იმას ამბობს, რომ ეკონომი არ უნდა იყოს! თქვენ, უ. ცქიტიშვილო, იმ უწმინდესის სინოდის დასკვნას ვერაოდეს ვერ ნახავთ, რომ ქუთაისის სასწავლებელში ეკონომად უ. ცქიტიშვილი იყოსო! თუ თავმჯდომარე და იგივე წევრი ეკონომზე წინააღმდეგ აზრს განაცხადებდა, ამით ის იმას კი არ ამტკიცებდა, რომ სასწავლებელს არც ეკონომი და არც კამისარი ყოლებოდა! არა; ის ამტკიცებდა, რომ თქვენ არა გაგგებთ რა ეკონომობის.

აიღეთ სასწავლებლის სამმართველოსაგან შემდგარი ჟურნალი თქვენს დანიშვნაზედ და წაიკითხეთ, ბა როგორი რეზოლიუცია არის დადებული: „1874 წელს 10 ოქტომბერს ეკონომობის ნაწილში სასწავლებლის ზედამხედველმა მოიხმაროს მ. ანტ. ბალანჩიაძე, წევრი ოითონ სასწავლებლის სამმართველოს, როგორც ძლიერ გამოცდილი და მცოდნე ამ ანგარიშისა; ცქიტიშვილი,

როგორც გამოუცდელი ამ საქმისა, ნუ იქმნება დანიშნული.“

„ბანა შეიძლება, რომ კაცი ერთ უეზდში იყოს და მეორე უეზდში კი უცქერდეს იმას, თუ ვინ რას აკეთებს აქ? მართლადაც, ამ სასწავლებლის ეკონომს რაიმე საგანი უყურადღებოდ რომ დაეგდო, მ. ლ—ძს სად ჰქონდა იმდენი დრო, რომ ამ ებს დაკვირვებოდა, როდესაც ის მოდიოდა ყვირილიდგან სასწავლებელში ღამით ცხრა საათზე, და მეორე დილით ათ საათამდისინ უკანვე ბრუნდებოდა, და ისიც თვეში ორჯელ ანუ სამჯერ;—და თუ მაინცა და მაინც რაიმე უწესოება ნახა ეკონომიურ ნაწილში, რატომ მაშინვე არ უთხრა ეკონომს?“

ძლიერ სცდებით, უფ. ცქიტიშვილო. რომ ლ—ძე ყოველთვის დადიოდა სასწავლებლის სამმართველოში ხსდომების დროს, ეს იციან ყველა სასწავლებელში მოსამსახურეთა; იციან ისიც, რომ ორ-ორი და ხანდისხან სამ-სამი დღეც რჩებოდა კვირაში ქუთაისში სასწავლებლის საქმეზე. ხანდისხან თუ არ დასწრებია სამმართველოში სხდომაზე, ეს იმისთვის, რომ ან საქმე შეხვედრია თანამდებობისა მებრ, ან არ გაუგებინებიათ იმისთვინ საქმეები, როგორც მაგალითებრ როდესაც მასწავლებლის დათხოვნა უნდოდათ ანუ თქვენისთანა კაცების განწესება.

იმის გაგებას, რომ თქვენ უთავბოლოთ ჭყიდულობდით ნივთებს, დიდი შეტყობა არ უნდოდა: თქვენი ანგარიში წიგნებიდამვე სჩანს.

„სასწავლებლის ეკონომი, როდესაც სოფლის კაციდან იყიდდა რაიმეს და ან საწონზე რასმეს აიღებდა, მაშინვე სწერდა წიგნში და ხელსაც მოაწერიებდა ფულების მიმღებს და თუ აქაური მაღაზიებიდამ ან მედუქნებიდამ რაიმე მოჰქონდა ხშირათ სასწავლებლისათვის უფულოთ, ამაებს კი თვის გასულს იანგარიშებდა, წიგნებშიაც გაიწერდა და ფულების მიღებაზე ხელსაც მოაწერიებდა გამომყიდველს.“

რათაო? ერთი თვის ხარჯი მეორე თვეში რათ უნდა იწერებოდეს? ქარგი, თქვენ ზიდეთ რომელიმე მედუქნისაგან; ესთქვათ, თვის გასულს ანუ სხვაგან წავიდა, ანუ მოკვდა, მაშინ ვის გინდა ხელი მოაწერინო წიგნში?

მივაქცევ თქვენს ყურადღებას, უ. ცქიტიშვილო, ხარჯის წიგნის № 334—340-მდე. ამ ნომრებით გაწერილი ხარჯი, ხომ მანეთზე მეტია?

რატომ არავის არა აქვს ხელი მოწერილი ამ ფულების მიღებაზედ? თქვენ იცით წიგნების შემოწმების კანონი? რას ითხოვს ეს კანონი? პირველ მომავალის რიცხვს უნდა შემოწმდეს ხარჯი და შესავალი თუ მეორე თვის გასულას?

„ეკონომი ეკონომიურ ანგარიშს არ მოიშლისო! ნეტავი რა გინდათ ამითი სთქვათ? ეგვ ის, რომ ეკონომობა უსინიდისობა იყოს!“

მე კი არ მინდა ესთქვა, იმ დეპუტატს უნდოდა გამოეხატა ამ სიტყვებით ის, რომ თუ ეკონომი ვინც უნდა იყოს, პატარას არას გამორჩა არ შაიძლებაო. ფულები ძლიერ მაცდურიაო, განსაკუთრებით ვისაც ძლიერ უყვარსო.

„მე მასწავლებლობის 600 მან. კი არა 640 მ. მაქვს და მიკვირს სამღვდელო პირი ხართ და არ იცით—თუ რამდენი ჯამაგირი ეძლევა თითო მასწავლებელს ამ ჩვენ სასწავლებელში და თუ სასწავლებლის სამმართველოს წევრი ხართ, ხომ უფრო უნდა იცოდე .... თქვენ მაინც კუჭი რათ გეწვისთ?“

საქმეც ეს არის, რომ შენ ორმოც მანეთობით გაძლევენ ასე, რომ სასწავლებლის წევრს არ ატყობინებენ! რისი გახლავსთ ეგ ორმოცი მანეთი? უ. ზედამხედველი აცხადებდა, რომ თქვენ, თერამეტი გაკვეთილი გაქვსთ და თუ ეს მართალი იყოს, ეს ორმოცი მანეთი სადაურია? ქუჭი რათ მეწვის? ქუჭი გვეწვის ჩვენ მაშინ, როდესაც ვხედავთ, რომ ულირსი ნამეტან ჯამაგირს იღებს და უკანონოდ.

„ნეტავი შემატყობინა თუ საიდან გინდათ თქვენ და თქვენ ამხანაგობას ჩემზედ ორით უკეთესი მასწავლებლის გამოწერა: ამერიკიდან თუ ინგლისიდგან?“

ხა, ხა, ხა, ხ-! თქვენისთანა ეკონომს და მასწავლებელს აბა როგორ მონახავს კაცი თუ არ, ინგლისში ანუ ამერიკაში?

„თქვენ იცოდეთ, რომ ჩემზედ ორით უკეთეს მასწავლებელს თქვენ ვერ იშოვით და ჩემის მხრით კი ამას გეთტყვით, რომ ეკონომის თანამდებობას დ დის სიამოვნებით დაგითმობთ და ჩემს მასწავლებლობიდამ დათხოვნაზედ ტყვილათ თავს ნუ შეიწუხებთ.“

ჭეშმარიტად მართალია! სად იშოვის კაცი თქვენზე უკეთესს?! სანამ რევიზორი შოვიდოდა, მანამდის რატომ არ ამბობდით, თავს დაეანებებ ეკონომობასო? ეხლა რა მიზეზია—იცით?

„... და რომ კიდეკაც დამითხოვოთ, ჩემ თვის სულ ერთია. ჩიტმა სთქვა: ჩემი ბალდადი იქ არის, სადაც საკენკი მ ქნებაო.“

ძლიერ გმადლობ, რომ ეს თქვენი მშვენიერი აზრი და მიმართულება თქვენვე გამოხატეთ და მე ამ შრომისაგან გამათავისუფლეთ...

ახლაკი მშვიდობით: მაგრამ გახსოვდესთ, რომ სიტყვების წამოსროლა და ბოლოს სთქვა, მე აღარ ამოვიღებ ამაზე ხმასაო, ამით თავს ვერ გაიმართლებთ. მეორე-ჯერ წერის დროს სახეში იქონიეთ ეს, და თქვენივე სიტყვით თავიანთ შერცხვენოთ.

X

1875 მარტს 18 ივნისს

განცხადებანი

მსურს ავიყვანო **მოსამზადებელად გიმნაზიის** პროგრამმის შესაფერ **საგნებიდამ** და **ენებიდამ**, ისეთი ყმაწვილები, რომელნიც ან ვაკაციების შემდეგ გიმნაზიაში შესვლას აპირებენ, ან გიმნაზიაში იმყოფებიან კიდეც და ან რომელთაც რომელიმე საგნიდამ, მიმავალი ვაკაციების (კანიკ.) შემდეგ, ხელმეორეთ დასაჭერი ეგზამენია აქვთ გარდადებული.—უფრო დაწვრილებით პირობებზე მოლაპარაკება პირის-პირ შეიძლება.

ადრესი იკითხეთ: ქუთაისს, უფ. ან. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ბარდანქეშან-აიარი.

ბეჭდვიდგან გამოვიდა და ისყიდება

პირველი კარი ყარამანიანისა,

სპარსულიდგან ნათარგმნი ქართულს ენაზედ სალთხუცის და სარდლის **თავადი დავით ორბელიანისაგან.** საამოთ სასმენელი. ზოგიერთი **სურათებით** ყ а რ а მ а ნ и с а, ბ а რ დ а ნ ქ ე შ а ნ и с а და ს ხ ვ.

გამოცემული დავით ლაზარევისაგან და ნიკოლოზ კოგალაძისაგან.

ფასი „პ и რ в е л и к а р и с а“ ე ქ в с и შ а у р и (30 კაპ.)

გაისყიდება ჯერ-ჯერობით ტფილისს მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში.

იბეჭდება და მომავალ თვეებში გამოვა **„მეორე კარი ყარამანიანისა.“**

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	8	18	8	17				
მცეთა. . .	9	18	10	—	-	68	-	38
ბორი . .	11	39	1	43	2	40	1	23
სურამი . .	1	52	4	30	3	92	2	18
ბეჟათუბანი	3	45			4	42	2	46
ყვირილა .	6	49			5	81	3	23
ქუთაისი. .	7	55			6	75	3	75
სამტრედია .	9	2			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	10				8	57	4	76
ფოთი. . .	11				9	75	5	42
ფოთი . .	7	38						
ახ.-სენაკი.	9	11			1	18	-	66
სამტრედია.	10	12			2	6	1	14
ქუთაისი .	11	17			3	4	1	69
ყვირილ. .	12	38			3	98	2	21
ბეჟათუბანი	3	27	ღამე		5	33	2	96
სურამი . .	4	57	12	30	5	84	3	24
ბორი . .	7	23	3	31	7	36	4	9
მცხეთა . .	9	52			9	8	5	4
თფილისი	10	49	8	2	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:

ოდესისკენ—ორშაბ. დილის 8 საათ.

სტამბოლს—კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

ფოთს—სამშაბათს, ღამით.

ოდესას—კვირას, გათენებისას.

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესსამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
სამხალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თ ф ი ლ ი с и დ а მ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქ უ თ а ი с и დ а მ:

თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) ბ о რ и დ а მ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფ о თ и დ а მ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

	კაპ
წიგნის გაგზავნა რუსეთში:	
ლია წიგნის	5
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	10

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 17 ივნისს.		
ერთი მანეთი ლირს:		
ლონდონში $33\frac{7}{8}$ პენსი.	—	84
პარიჟში $347\frac{1}{4}$ სანტიმი.	—	89
ესკონტი (სარგებლისფასი)	6	—
ბანკის ბილეთი 5%	99	75
მოგებიანი (პირველისესხი)	212	25
მოგებიანი (მეორე სესხი)	207	25
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზნ. ბანკისა.		
ხერსონის ბანკის ($5\frac{1}{2}$)	87	—
მოსკოვის (5%). . . .	86	50
აქ ц и ე ბ ი:		
ოდესის სავაჭრო ბანკის.	212	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	133	—
შავიზღვის ცეცხ. გემების	560	—
კავკაზის და მერკურის. .	168	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	257	65

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 20 ივნისს		
პური შორაგალის ფთ.	1	10
ქერი ფუთი. . . .	—	60
ბამბა ერევნისა, ფუთი .	4	50
— ამერიკისა, ფუთი. .	6	40
ბაპენტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ .	6	50
— თარაქამისა ფთ. .	3	60
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ქონი, ფუთი. . .	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	65
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	75
სპირტი, ვედრო. . .	7	—
შაქარი, ქარგი ფუთი .	8	40
— ფხვნილი ფუთი . .	6	90
ყავა გრგვალი ფუთი .	19	—
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	6	—
ოქრო $\frac{1}{2}$ იმპერიალი. .	5	94

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Іюня 1875 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიჭიშვილი რედაქტორი ს. მესხი.